

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

სამტრედიის მუნიციპალიტეტი
საქართველო

2019

მერის მიმართვა

სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია რომ ჩაერთო ევროკავშირის ინიციატივა მერები ეკონომიკური ზრდისთვის პროექტში.

ინიციატივის ფარგლებში სასწავლო კურსიდან მიღებული ცოდნით, კვალიფიციური ექსპერტთა გამოცდილების გაზიარებით და მერები ეკონომიკური ზრდისთვის მეთოდოლოგიის დახმარებით მომზადდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლის ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება კერძო და საჯარო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით.

ევროკავშირთან თანამშრომლობა წარმოადგენს შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის, ამავდროს ეს თანამშრომლობა დიდ პასუხისმგებლობაცაა. ჩვენ ვაცნობიერებთ მართველობის იმ პრინციპების მნიშვნელობას, რომელიც წარმატებით იქნა დანერგილი ევროკავშირის ქვეყნებში, რაც გვაძლევს შესაძლებლობას მათი გამოცდილების გაზიარებით მოხდეს კარგი პრაქტიკის დანერგვა და ეფექტური რაციონალური ნაბიჯებით ხელი შეუწყოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას .

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენის პროცესში ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყვნენ კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ლეგიტიმაციას აძლევს დოკუმენტს.

მზად ვართ ინიციატივა მერები ეკონომიკური ზრდისთვის ფარგლებში, კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით განვახორციელოთ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში გაწერილი ღონისძიებები. მათი ძირითადი ნაწილი სამტრედიის მერიის ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ამასთან გაწერილია ღონისძიებები სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით, სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით, ასევე ქმედებების ნაწილი დაგეგმილია დონორების მოძიების იმედად.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი
ვალერიანე ფოცხვერია



გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას

სახელი, გვარი: ალექსანდრე ნაცვლიძე
თანამდებობა: II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში

მისამართი: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N 6

ტელეფონი: 595295157

ელ-ფოსტა: ekonomikissamsaxuri@gmail.com

ვებგვერდი: samtredia.com.ge

1. მოკლე შეჯამება

1. მოკლე შეჯამება

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LED) მომზადდა ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, LED გეგმა ორიენტირებულია კერძო სექტორის განვითარებისკენ. SWOT ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეები: გეოგრაფიულ-ეკონომიკური მდებარეობა, სატრანსპორტო ჰაბის განვითარებისთვის საჭირო ობიექტების არსებობა (აეროპორტი, რკინიგზა, საგზაო მაგისტრალი), მიწის სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობისთვის, ინვესტიციების ზრდა რეგიონულ ბაზრებზე ორიენტირებულ ბიზნესში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბრაუნფილდები და საინვესტიციოდ მიმზიდველი ობიექტები, რეგიონის მუნიციპალიტეტებთან შედარებით დივერსიფიცირებული აგრო და ბიზნეს სექტორი. მრავალდარგოვანი კულტურის მოყვანის გამოცდილება, დიდი რაოდენობით არსებული სასოფლო სამეურნეო სავარგულები და.ა.შ და აგრეთვე შესაძლებლობები, როგორცაა ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების პროგრამები, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობა ევროპასთან, სახელმწიფოს მიერ რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციისა და აეროპორტის განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ეკონომიკის განვითარების მისაღწევად მნიშვნელოვანია დაძლეულ იქნას სისუსტეები როგორცაა: ინოვაციებისა და ცნობიერების ნაკლებობა ბიზნესში, ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური სერვისების ნაკლებობა, ინვესტორებთან ურთიერთობის გამოუცდელობა და მუნიციპალიტეტის, როგორც ინვესტიციების განხორციელების ადგილის ნაკლები ცნობადობა. სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე საირიგაციო ინფრასტრუქტურისა და საგზაო კომუნიკაციის დაბალი დონე, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მიგრაცია, და.ა.შ. მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შემუშავდა ხედვა: სამტრედია, მუნიციპალიტეტი ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესითა და ინვესტორთა მომსახურების თანამედროვე სერვისებით. ხედვის მიღწევისთვის შეირჩა 3 მიზანი: ინვესტორთა მომსახურების გაუმჯობესება, ინოვაციების ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესში, ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მიზნების მისაღწევად დაისახა ღონისძიებები რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდას, ინოვაციების წახალისებას ბიზნესში, ინვესტორების დაინტერესებას და ინვესტიციების მოზიდვას; სამეწარმეო ცოდნის და კვალიფიკაციის გაზრდას; ფინანსური რესურსების მოძიების ხელშეწყობას, აგროწარმოების განვითარებას. საინვესტიციოდ და ტურისტულად მიმზიდველი გარემოს შექმნა. გეგმაში მოცემული ღონისძიებების ძირითადი ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ნაწილი სახელმწიფოს, კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და ფინანსური თანამონაწილეობით, ნაწილი ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო იქნება დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა.

2. შინაარსი

მერის მიმართვა	2
1. მოკლე შეჯამება	3
2. შინაარსი	4
3. დანართები ცხრილები აბრევიატურა	4
3.1 დანართი	4
3.2 ცხრილები	4
3.3 აბრევიატურა	4
4. გეგმის შესავალი	5
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი	5
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი	6
6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი	6
6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის	8
6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია	9
6.4. წვდომა ფინანსებზე	10
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა	10
6.6. საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები	11
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა	11
6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	12
7. SWOT ანალიზი	13
8. ხედვა და მიზნები	14
9. სამოქმედო გეგმა	2
10. დაფინანსების სქემა	5
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები	7

დანართები

- დანართი 1.** ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი (სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის ოქმები და.ა.შ)
- დანართი 2 .** საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით.
- დანართი 3** ადგილობრივი პარტნიორობის შეფასება.
- დანართი 4** მზარდი სექტორები მათი გამოწვევები.
- დანართი 5** ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ბიზნესისთვის.
- დანართი 6** კერძო სექტორის საჭიროებები მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში.

3. ცხრილები და აბრევიატურა

3.1 ცხრილები

ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა	2
ცხრილი 2. დაფინანსების სქემა	5
ცხრილი 3. ქმედებების და შიდა მონიტორინგის გეგმა	7

3.1 აბრევიატურები

- LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
- შშმ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე
- DVFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმება
- SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
- DMO- დესტინაციის მართვის ორგანიზაცია

4. გეგმის შესავალი

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მერის ხელმოწერით 2018 წლის დეკემბერში შეურთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ რაც ითვალისწინებს კერძო და სამოქალაქო სექტორთან, პარტნიორული თანამშრომლობით ხელი შეუწყონ ადგილობრივი ეკონომიკურ ზრდას, განვითარების და სამუშაო ადგილების შექმნას. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივაში ჩართვა სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, როგორც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ასევე საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. დოკუმენტი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან, იმერეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიასთან და საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“. გეგმით გეგმაში გაწერილი ღონისძიებების 78% დაფინანსებული იქნება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონის დასვლეთ ნაწილში და ესაზღვრება სამეგრელოს და გურიის მხარეებს; მუნიციპალიტეტის ტერიტორია 36 429 ჰა–ს შეადგენს. სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სარკინიგზო და საავტომობილო კვანძს. სარკინიგზო და საზოგადოებრივი ტრანსპორტით კავშირი რეგულარულია. ადგილობრივი გზების ადგილმდებარეობისა და მისი ხელმისაწვდომობის გამო, მუნიციპალიტეტი მეზობელ მუნიციპალიტეტებთან შედარებით მისადგომობის თვალსაზრისით უკეთეს მდგომარეობაშია. მუნიციპალიტეტში 56 დასახლებაა, მათ შორის ერთი ქალაქი სამტრედია, ერთი დაბა და 54 სოფელი. მანძილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრსა და ქუთაისს შორის 33.3 კმ-ია (30 წუთი), დედაქალაქამდე მანძილი 260 კმ-ია (3,5 სთ); ფოთის პორტამდე 65 კმ-ით (55 წთ) ბათუმის პორტამდე 113 კმ-ით (110 წთ). ხოლო დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტამდე 11 კმ-ით (10 წთ) კილომეტრი. საქსტატის მონაცემებით 2018 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში 48,6 ათასი ადამიანი ცხოვრობს (იმერეთის რეგიონის მოსახლეობის 9%). 2002 წლის აღწერასთან შედარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა 19%-ით არის შემცირებული. იგივე პერიოდში იმერეთში მოსახლეობა 24,4%-ით შემცირდა. მეოთხედი საუკუნეზე მეტია, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა კლების ტენდენციით გამოირჩევა. ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მზარდია მიგრაციის ტენდენცია განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდა, კვალიფიციურ და შრომისუნარიან მუშახელს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საქართველოს ურბანულ დასახლებებში და უფრო განვითარებულ ქვეყნებში იქ არსებული მაღალი დასაქმების შესაძლებლობებისა და სათანადო ანაზღაურების გამო. მოსახლეობის შემცირების მაჩვენებელი ანალოგიურია, რეგიონის იმ მუნიციპალიტეტებისა, რომელთაც მონოეკონომიკა ჰქონდათ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში (მაგალითად ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ტყიბულის

მუნიციპალიტეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 55 % ქალაქად ცხოვრობს. ამ მაჩვენებლით საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის გამორჩეულია და იმ სათემო მუნიციპალიტეტებს შორისაა, რომელშიც ქალაქის მოსახლეობა ჭარბობს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

გეგმის მომზადების საწყის ეტაპზე მოხდა გაერთიანებული ფართო შეხვედრა ადგილობრივი თვითმართველობის, ბიზნესის წარმომადგენლების და ადგილობრივ ფერმერებთან და ახალგაზრდებთან, აღნიშნული შეხვედრაზე გაცნობილ იქნა მერები ეკონომიკური ზრდისთვის კონცეფცია, შემდგომ გაიმართა რამდენიმე შეხვედრა ბიზნესის ცალკეული სექტორებთან, აგრარული სექტორის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ სამოქალაქო აქტიურ ჯგუფებთან, შეირჩა პარტნიორები. პარტნიორების მიერ მოხდა შერჩევა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით გეგმის მოსამზადებლად შეიქმნა 4 კაციანი ჯგუფი ადგილობრივი თვითმართველობის, კერძო სექტორის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა დაგეგმვა შემდგომი აქტივობების დაიგეგმა სამომავლო შეხვედრების და მოქმედებები, მომზადდა მოწოდებული მეთოდოლოგიის შესაბამისად კითხვარები. სულ გაიმართა 6 შეხვედრა, 2 ადგილობრივი ბიზნესის(როგორც მცირე მოვაჭრეები ასევე შედარებით მსხვილი მწარმოებლები) და აგრარული სექტორის წარმომადგენლებთან, 1 შეხვედრა ახალგაზრდებთან და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებთან, 2 სოფელ ჯიხაიშის საზოგადოებრივ ცენტრსა და სოფელ ნოლაში ადგილობრივ ფერმერებთან. 1 სოფელ იანეთში ფერმერებთან. რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. შეხვედრების ორგანიზებისას გათვალისწინებული იქნა გენდერული ბალანსი. ასევე ხდებოდა ინდივიდუალური კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან. თავიდან ბიზნესის ნაწილი გამოირჩეოდა სკეპტიკური დამოკიდებულებით და ნაკლები ინტერესით, თუმცა დროთა განმავლობაში გაიზარდა მათი მოტივაცია და ჩართულობა. განსაკუთრებით აქტიურობით შედარებით ახალგაზრდა ასაკის ბიზნესის წარმომადგენლები და აგრარული სექტორი გამოირჩეოდა. მეორე შეხვედრაზე გადაწყდა სამუშაო ჯგუფს დამატებოდა 2 ბიზნესის და სოფლის მეურნეობის წარმომადგენელი, რომელიც განსაკუთრებით აქტიურობით გამოირჩეოდა. შეხვედრების დროს შეგროვდა ეკონომიკური ანალიზისთვის საჭირო მონაცემები, ასევე მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ხედვისა და მიზნების სხვადასხვა ვარიანტების წარმოდგენა შემუშავება. განსაკუთრებული აქტივობა გამოირჩეოდა სამოქმედო გეგმის მომზადების ნაწილში. სადაც არაერთი სხვადასხვა ღონისძიება იქნა წარმოდგენილი და გეგმაში გაწერილი. სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრების შემდეგ იმართებოდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, სადაც ხდებოდა მოპოვებული ინფორმაციის, კითხვარების შეჯამება და კონსენსუსის საფუძველზე გეგმაში გათვალისწინება. (დეტალურად დანართი 1)

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია ვაჭრობა დასაწყობება, ტრანსპორტირება და სოფლის მეურნეობა და ამ სექტორებში მუნიციპალიტეტი რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მეტად განვითარებულია, რაც განპირობებულია მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობით, ის წარმომადგენს სატრანსპორტო ჰაბს როგორც საგზაო ასევე სარკინიგზო, აქ მდებარეობს აეროპორტი. რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის სამტრედიის ხელსაყრელი მდებარეობა არის ფაქტორი, რის გამოც ხდება მათ მიერ მუნიციპალიტეტის გამოყენება სავაჭროთ, ბიზნესის დასაწყობად, მომსახურების და სხვადასხვა სერვისების მისაღებად. საქსტატის

მონაცემებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1848 საწარმო (დეტალურად იხილეთ დანართი 2). აღსანიშნავია რომ 2017 წლიდან 2018 წლამდე 5.7 % -ით გაიზარდა საწარმოების რაოდენობა. საწარმოების რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა თითქმის ყველა სექტორში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტული სექტორებში ვაჭრობა დასაწყობება, ტრანსპორტირება(ზრდა 4.3%), დამამუშავებელი მრეწველობა (ზრდა 4,6%), მომსახურება (4.7%).

ყველაზე მსხვილი კომპანიები რომლებიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო სექტორშია, საქართველოს რკინიგზა რომელსაც დასავლეთ საქართველოს ცენტრალური განყოფილება სამტრედიამში გააჩნია ასევე ის ყველაზე დიდი დამსაქმებელია და აეროპორტი, სადაც მგზავრთნაკადი 2016 წლიდან 2018 წლამდე 220% ით გაიზარდა. საწარმოების რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება მათ მიერ პროდუქციის გამოშვება და ბრუნვა, საქსტატის მონაცემებით 2015 წელთან შედარებით 2017 წელს გაზრდილია ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვება 55,1%- ით და ბრუნვა 14,5 %-ით. ზრდა ძირითადად გამოიწვია ერთის მხრივ ვაჭრობა დასაწყობების და სოფლის მეურნეობის წარმოებამ, რასაც მნიშვნელოვანი ხელი შეუწყო სახელმწიფო პროგრამებმა (დაფინანსდა 315 ბიზნესი ჯამში 11 927 118 ლარით) და მუნიციპალიტეტის როგორც ეკონომიკური ცენტრის ფუნქციის მზარდმა გამოყენებამ მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან. მეორეს მხრივ სამშენებლო სექტორმა რაც განაპირობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე მზარდმა როგორც მუნიციპალური, სახელმწიფო ასევე კერძო ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა ვაჭრობა დასაწყობება და დამამუშავებელი მრეწველობის კუთხით სადაც შემოვიდნენ შედარებით მსხვილი კომპანიები რომლებიც მუნიციპალიტეტიდან ახორციელებენ რეგიონულ ბაზრებზე საქმიანობას, მათმა ინვესტიციამ ჯამში დაახლოებით 20 მილიონი ლარი შეადგინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობით განხორციელებული 8 მილიონი ლარის ინვესტიცია (აწარმოე საქართველოს პროგრამა) სადაც შეიქმნა ქართულ ჰოლანდიური საწარმო „იმერეთი გრინერი“- რომელსაც ჰიდროფონიკის სისტემაზე აგებულ 2 ჰექტარი ფართობის სათბურში მოჰყავს პროდუქცია. რეალიზაციას ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა როგორც ბრენდულ ასევე არაბრენდულ სავაჭრო ობიექტებში ახორციელებს. კომპანიამ 2016 წლიდან 2018 წლამდე წარმოება 75 % ით გაზარდა. მოქმედ საწარმოებს შორის დიდი ადგილი უჭირავთ მცირე ზომის საწარმოებს მათი 80% ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. რომელიც თითქმის მთლიანად ათვისებულია, სავარაუდოდ გაიზრდება მოთხოვნა ბიზნეს ფართებზე. მუნიციპალიტეტში ორი აგრავული ბაზარია სადაც აგრომწარმოებლები როგორც ადგილობრივი ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან ეწევიან საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას. სავარაუდოდ უახლოეს ხანებში მოთხოვნა ამ მხრივ არ გაიზრდება. ბიზნესს მომსახურებას 20 საფინანსო ინსტიტუტი უწევს, მათ შორის 4 ბანკი. იურიდიული საადრიცხვო მომსახურების 12 მცირე ზომის საწარმო ეწევა, მოსახლეობის მომსახურებაზე ორიენტირებულია 263 მცირე საწარმო. აქედან სტილისტურ მომსახურებაზე 18, აღნიშნულ ბიზნესში ჩართული 85% ქალია. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 საავადმყოფო, მათ შორის ერთი მსხვილი შპს „ჯეო-ჰოსპიტალსი“, 17 კლინიკა, 13 ამბულატორია, 35 აფთიაქი. კომუნიკაციისა და IT მომსახურებაზე ორიენტირებულია 44 მცირე საწარმო, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზრდილია მოთხოვნა კვალიფიციურ IT სპეციალისტებზე. მშენებლობასა და დეველოპერულ ბიზნესი 31 საწარმოთა წარმოდგენილი, სექტორი მზარდია რასაც ხელს უწყობს მზარდი ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტში 21 რესტორანი, 6 კაფე ბარი და 13 სწრაფი კვების ობიექტია, რესტორნების რაოდენობა 3 წელია მნიშვნელოვნად გაზრდილია და მათი უმეტესობა ყოველდღიურად დატვირთულია. ტურიზმი ნაკლებად

განვითარებულია მიუხედავად იმის რომ აქ მდებარეობს აეროპორტი ძირითადად ტურისტები აქედან ნაწილდებიან სხვადასხვა ტურისტულ ობიექტებზე და მათი მოცდის ხანგრძლივობა ცალკეულ შემთხვევებში 1-2 დღეს შეადგენს, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, აგრო, ველო და საცხენოსნო ტურიზმის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია რეგიონში ერთადერთი 10 ჰექტარზე არსებული იპოდრომი შესაბამისი თავლებით და დამხმარე ნაგებობებით, 9 ინგლისური ცხენით, თუმცა მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა. მუნიციპალიტეტში 6 სასტუმროა ისინი გათვლილია საშუალო კლასის მომსახურებაზე, ამ დროისთვის ძირითადად მსგავს ფუნქციას კერძო ბინები და სახლები, ასრულებენ, 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა ყოფილი 2 ბრაუნფილდის პრივატიზაცია სადაც არსებულ შენობებზე განთავსდა 2 სასტუმრო. რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს. სასტუმროებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაზრდილია, განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნა საოჯახო ტიპის სასტუმროებზე და ჰოსტელებზე აეროპორტის მიმდებარედ.

სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ეკონომიკისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ითვლება და ადგილობრივი მოსახლეობის მთავარი დამსაქმებელია. მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა რეგიონში ერთ ერთი ყველაზე მეტად დივერსიფიცირებულია, რასაც ხელს უწყობს ხელსაყრელი ბუნებრივ კლიმატური პირობები, მრავალდარგოვანი კულტურის მოყვანის გამოცდილება, ტრადიცია, დიდი რაოდენობის სასოფლო სამეურნეო სავარგულები და მიწის სტრუქტურა, მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის (36429 ჰა) 56% (20 400 ჰა) სასოფლო სამეურნეო სავარგულებს უკავია და დანიშნულების მიხედვით შემდეგნაირათ გამოიყენება 63 % სახნავი, 19% მრავალწლიანი, 14% საძოვარი, 4% სათბურები. სასოფლო სამეურნეო სავარგულებში მოსავლიანობის მაჩვენებელი გამოყენებული დამუშავებული სავარგულების რაოდენობასთან შედარებით მცირეა, დიდია გამოუყენებელი სავარგულების რაოდენობაც, რისი მიზეზიც რამდენიმეა, არ ხდება მიწის ლაბორატორიული ანალიზი რისი საშუალებითაც მოხდებოდა ოპტიმალური კულტურის და ჯიშების შერჩევა, კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა, მოუწესრიგებელი ირიგაცია და გზები, მოსავლის მოვლასა და მოყვანაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი. სახნავი ფართობების 75%, 3848 ჰა სიმინდის ფართობებს უკავია და 2018 წელს 10 760 ტ. სიმინდი იქნა მიღებული. რეგიონში მუნიციპალიტეტი ყველაზე დიდი სიმინდის მწარმოებელია. წარმოება ზრდის ტენდენციით არ აღინიშნება, მითუმეტეს იმისა რომ მოთხოვნა დიდია. ფერმერული და საოჯახო მეურნეობების დიდი ნაწილი ორიენტირებულია მეფრინველეობასა და მეცხოველეობაზე მათ საკუთრებაშია 300 000 ფრთა ფრინველი, 22 000 სული მსხვილფეხა პირუტყვი (11 218 ფურით და ფურკამეჩით) 3 900- მდე ღორი, 1600 მდე ცხვარი, აღსანიშნავია რომ მეცხვარეობა ძირითადად ეთნიკური უმცირესობებშია განვითარებული. მეფრინველეობა სოფლის მეურნეობაში მუნიციპალიტეტის ერთგვარი ნიშაა საქართველოში და მრავლადაა მეფრინველეობის ფაბრიკები. ფრინველი და მსხვილფეხა პირუტყვი ძირითადად საწარმოო დანიშნულებით გამოიყენება , სადაც წარმოებული ხორცის, წიწილას, ყველის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ, თბილისის და ბათუმის ბაზარზე (სეზონურად), თუმცა ბაზარზე ადგილობრივი წარმოებული პროდუქციის წილი მცირეა. რაც პირდაპირ ბმავია სასოფლო სამეურნეო სავარგულების დასახელებულ პრობლემებთან, მნიშვნელოვანი პრობლემაა ფრინველის და საქონლის ჯიშების სელექცია საწარმოო დანიშნულების შესაბამისად. თუმცა ორმა ფერმერულმა მეურნეობა 2018 წელს არსებული პირუტყვის ჰოლანდიური ჯიშით ჩანაცვლება დაიწყო, რამაც მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ფერმერული მეურნეობის წარმოებული პროდუქცია. მნიშვნელოვანი როლი უჭირავს სოფლის მეურნეობაში ბოსტნეული და მწვანილეული კულტურების პირველად წარმოებას, საშუალოდ ყოველწლიურად 12900

ტონა ბოსტნეული და მწვანილეული იწარმოება მაგრამ მათი დიდი ნაწილი ღია გრუნტშია განთავსებული და სარეალიზაციოდ მზად ზაფხულშია რა დროსაც მისი ფასი შემცირებულია და ფერმერი ვერ იღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს, ამიტომ მნიშვნელოვანია დახურულ გრუნტში წარმოების ზრდა რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ეკონომიკურ სარგებლიანობას და ჩაანაცვლებს იმპორტირებულ პროდუქციას. მრავალწლიან კულტურებში ყველაზე მეტად პერსპექტიული კეკროვანი კულტურების წარმოებაა, რომელთა ფართობი 60 ჰას შეადგენს, რაც ყოველწლიურად მზარდია, აღნიშნულ ტენდენციას მისი მაღალი ფასი და ეკონომიკური სარგებლიანობა განაპირობებს. ის ენაცვლება მრავალწლიან ნარგავებში შედარებით დაბალ პროდუქტიულ კულტურებს. სამწუხაროთ კენკროვანი კულტურების წახალისების პროგრამაში სამტრედია ვერ მოხვდა თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება ინტენსიურად მართავს მოლაპარაკებებს შესაბამის უწყებებთან ამ პროგრამაში მუნიციპალიტეტის ჩართვაზე. 2017 წელთან შედარებით გაზრდილია თაფლის წარმოება სულ მუნიციპალიტეტში 5105 სკა ფუტკრიდან აწარმოებენ 51 ტონა თაფლს. ძირითად მეფუტკრეობას მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს მთიანი სოფლებში ეწვიან და მათი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მეფუტკრეებს შორის ყველაზე მეტადაა განვითარებული.

6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელი

ბიზნეს სექტორში ურთიერთთანამშრომლობა ნაკლებადაა ჩამყალიბებული(დეტალურად დანართი 3), კერძო ინიციატივით შექმნილი იყო ბიზნესმენტა გაერთიანება რომელშიც 50 მდე წევრი იყო გაერთიანებული თუმცა როგორც აღნიშნული იდეის ინიციატორები აცხადებენ დაინტერესება ბიზნესმენტა მხრიდან იმდენად მცირე იყო რომ ფუნქციონირება შეწყვიტა, მათი ნაწილი ამჟამად გაერთიანებული არიან სავაჭრო სამრეწველო პალატაში რომლის მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა აქტივობები , ბიზნეს უწყვეტ შუამავლობას მოიძიონ პარტნიორები და ინვესტორები, თუმცა მსგავს აქტივობებში ჩართვის სურვილი და მოტივაცია ბიზნესის დიდ ნაწილს არ გააჩნიათ. სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობა შედარებით უფრო განვითარებულია შექმნილია 15 კოოპერატივი, რომელიც 187 მეპაიეს აერთიანებს. მეთხილეობის კუთხით თხილის ასოციაცია ქმნის 15, 20 სუბიექტიან ჯგუფებს (მეთხილეებს) რომელიც მიზნად ისახავს თხილის წარმოების ხელშეწყობას სხვადასხვა ტრენინგებს და დახმარებას. 25 მეფუტკრე გაერთიანებულია თაფლის წარმოების ასოციაციაში, სადაც ხდება ცოდნის გაზიარება თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა. 2018 წელს ინტენსიურად ტარდებოდა შეხვედრები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერი ინიციატივა“ ფარგლებში სასოფლო სამეურნეო პროდუქციისა და სურსათის მწარმოებელი მცირე და საშუალო მეწარმეებსა და ფერმერებთან ეს შეხვედრები ორიენტირებული იყო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DVFTA) და მასთან დაკავშირებული სურსათის უვნებლობის რეგულაციების შესახებ. მსგავს შეხვედრებზე ტრენინგებზე ძირითად დაინტერესებას მსხვილი ფერმერები ახორციელებენ რომელთა მიწის ფართობი 10 ჰექტარზე მეტია, შედარებით მცირე ფერმერები, არ გამოხატავენ მზადყოფნას სხვადასხვა გაერთიანებებში ტრენინგებზე და შეხვედრებზე მონაწილეობაში. მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭრით ხშირად ხდება ბიზნესთან სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის მერია ცდილობს შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალური კომუნიკაცია იქონიოს ბიზნესთან, ხდება სხვადასხვა უწყებების თუ ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა ბიზნესისთვის სიახლეებისა თუ მიმდინარე პროექტების გაცნობის მიზნით. აღსანიშნავია ბოლო 2 წელია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმართველობის ჩართულობით

სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა გავრცელებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში რომელიც ეხლაც გრძელდება და მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა. ბიზნესის დიდი ნაწილი შეხვედრებზე ტრენინგებზე ურთიერთთანამშრომლობაზე უარს აცხადებს ისინი უფრო კარჩაკეტილ ურთიერთობას ამჯობინებენ. მათი დიდი ნაწილი არ თვლის ადგილობრივ თვითმართველობას ბიზნესის დახმარების ერთ ერთ მთავარ აქტორათ, ისინი თვითმართველობას განიხილავენ მხოლოდ მუნიციპალური სერვისების მიმწოდებლათ. ამიტომ საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან უფრო ინტენსიური დიალოგი და თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია კერძო სექტორთან რაც ადგილობრივ ბიზნესს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის.

6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალიტეტში საქმისწარმოება ელექტრონულულად მიმდინარეობას რაც ზოგავს დროს და რესურსებს, კომუნიკაცია კი უფრო მოქნილია. მუნიციპალიტეტს გააჩნია ვებ გვერდი, სოციალური ქსელი და საინფორმაციო ცენტრი. რომელთა მეშვეობითაც ხდება საჯარო ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება (მაგ. ბიუჯეტი და სხვა საჯარო ინფორმაცია). ძირითადად ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებზეა, ნაკლებია ინფორმაცია კერძო სექტორისთვის მაგალითად მოქმედი და დამწყები ბიზნესისთვის არ არსებობს ერთიანი ბაზა არსებულ ეროვნულ და დონორი ორგანიზაციების ბიზნესის განვითარების პროგრამებზე, (დეტალურად მზარდი სექტორები და მისი გამოწვევები იხილეთ დანართი4) ისინი ინფორმაციას სხვადასხვა მედიასაშუალებით იღებენ რის შედეგადაც ცდილობენ სიტუაციის გარკვევას ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებში. არსებულ სახელმწიფო და სხვადასხვა პროგრამების განმახორციელებლების დიდ ნაწილს (გარდა სოფლის მეურნეობის პროგრამებისა) მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობა არ გააჩნია. ადგილობრივ თვითმართველობებს დეტალური ინფორმაცია არ აქვთ სხვადასხვა სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების პროგრამების, კავშირიც მცირეა პროგრამის განმახორციელებლსა და მუნიციპალიტეტს შორის, ამიტომაც ხდება რომ მუნიციპალიტეტი ზოგ შემთხვევაში ვერ პასუხობს ბიზნესის იმ მოთხოვნებს რომელიც შესაძლებელია პასუხგაცემულ იქნას ადგილობრივ დონეზე. საჭიროა კონკრეტული მუნიციპალური პროგრამა სადაც თავმოყრილი იქნება ყველა ბიზნესისთვის საჭირო ინფორმაცია და შესაძლებელი იქნება მათი კონსულტირება. მუნიციპალიტეტში ქონების პრივატიზაცია /იჯარა/ქირაობა გამჭირვალეთ საჯარო ელექტრონულია აუქციონის წესით ხორციელდება, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტების, შესყიდვების დ.ა.შ განხორციელება ხდება ელექტრონული ტენდერების მეშვეობით, რომელიც მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ქვეყნდება.

6.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტში საბანკო სფერო განვითარებულია რომელსაც მომსახურებას 4 კომერციული ბანკი და 8 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ახორციელებს. (დეტალურად იხილეთ დანართი5) ბანკები მსხვილ უზრუნველყოფილ სესხებს და სამომხმარებლოს სესხებს ანიჭებენ უპირატესობას, შედარებით მცირე ბიზნესის დაკრედიტებას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ახორციელებენ. მითუმეტეს იმის რომ ბანკებს აქვთ სხვადასხვა სტარტაფ ბიზნესის დასაფინანსებელი პროდუქტები ბიზნესის წარმომადგენელთა განცხადებით ისინი მაინც თავს იკავებენ მათი დაფინანსებისგან. თუმცა არსებული საბანკო რეგულაციები რომელიც ძირითადად მაინც სამომხმარებლო და მსხვილ უზრუნველყოფილ სესხებს ეხება (ყოველთვიური გადასახადი მთლიან ვალდებულებაში ჰეჯირებულ სესხის მომსახურებაზე მაქს 25%) ბანკს ინტერესს გაუზრდის მცირე არაუზრუნველყოფილ ბიზნეს სესხებსა და სტარტაფ სესხებზე.

საბანკო სექტორის გარდა ადგილობრივი ბიზნესის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა სახელმწიფო პროგრამები აწარმოე საქართველოში, შეღავათიანი აგროკრედიტი, დანერგე მომავალი და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების პროგრამები. ბევრმა ბიზნესმა ისარგებლა ამ პროგრამებით მაგრამ ჯამურად მაინც მცირეა მოსახლეობის და ბიზნესის ჩართულობა, პრობლემაა პროგრამების დეტალური იდენტიფიკაცია, შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ბიზნეს გეგმის შესადგენათ. მუნიციპალურ დონეზე არ ფუნქციონირებს ადგილობრივი ბიზნესის წამახალისებელი პროგრამები, რომელიც დაეხმარებოდა დამწყებ ახალგაზრდა ბიზნესს განვითარებაში. ამის ერთერთი მიზეზი გამოცდილებასთან ერთად მუნიციპალიტეტის შეზღუდული ფინანსური რესურსებია მუნიციპალიტეტი ძირითადად მიზნობრივ ტრანსფერებზეა დამოკიდებული.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა: მუნიციპალიტეტს საკუთრებაში აქვს 1312 ჰა მიწა მათ შორის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა, 1223 ჰა, არასასოფლო სამეურნეო მიწა 89 ჰა, პერიოდულად მოთხოვნიდან გამომდინარე ხდება აღნიშნული მიწების როგორც პრივატიზაცია ასევე გაიჯარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ბრაუნფილდებია რომელთა დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია, ბევრიც დაურეგისტრირებელია და ეტაპობრივად ხდება მათი დარეგისტრირება, მათი ძირითადი ნაწილი დიდი ზომის შენობა ნაგებობებია ყოფილი პროფესიული სასწავლებლები და ყოფილი სამრეწველო საწარმოები. ბოლო წლებში პრივატიზებულ იქნა რამდენიმე მსხვილი ობიექტი. მოთხოვნა ძირითადად ორგვარია შედარებით დიდი იზოლირებული ფართები ცენტრალური სატრანსპორტო კომუნიკაციების მიმდებარედ და მცირე ზომის იზოლირებული სავაჭრო ფართები(დეტალურად იხილეთ დანართი). მცირე სავაჭრო ობიექტების და საოფისე ფართების დიდი ნაწილი თავმოყრილია ცენტრიდან 600 მეტრის რადიუსში რომელიც თითქმის მთლიანად ათვისებულია, და ამ ზონაში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში ფართები არ გააჩნია, საოფისე ფართების დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია თუმცა ფასები საკმაოდ მაღალია, მცირე ბიზნესის ნაწილს არ აქვთ საშუალება იქირაონ ფართები. მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ბიზნეს ინკუბატორი რომლის საჭიროებაც არსებობს. მუნიციპალიტეტს აქვს შესაბამისი ფართი რომელიც საჭიროებს ინფრასტრუქტურის მოწყობას სადაც შესაძლებელია ბიზნეს ინკუბატორის განთავსება. სტრატეგიული ობიექტების (რკინიგზა ცენტრალური საგზაო მაგისტრალი, აეროპორტი) მიმდებარე სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია არსებული 50 ჰა ყოფილი საწარმოო კომპლექსი. თუმცა რაიმე გეგმა ამ ეტაპზე არ არსებობს.

6.6 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

საქართველოში არსებული 6 სახის გადასახადიდან მხოლოდ 1 - ქონების გადასახადი არის ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადი. მუნიციპალურ დონეზე წყდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება/გაუქმება, ადმინისტრირება და ქონების გადასახადის ტარიფის განსაზღვრა. მუნიციპალიტეტში სულ სამი სახის მოსაკრებელია სათამაშო ბიზნესის, დასუფთავების და სამშენებლო. გადასახდელები რომელთა შემოღება/გაუქმება და ტარიფის განსაზღვრა მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება არ წარმოადგენს ბიზნესისთვის დაბრკოლებას. ბიზნესისთვის პრობლემას წარმოადგენს დროში გაწელილი მშენებლობის ნებართვები საერთაშორისო მნიშვნელობის გზების და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მიმდებარედ. რაც ძირითადად გამოწვეულია ერთიანი მოქნილი სისტემის არ არსებობით და კომუნიკაციის ნაკლებობით უწყებებს შორის. უკვე მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცია რომ შემუშავებულ იქნას მოქნილი სისტემა პრობლემის აღმოსაფხვრელად. ბიზნესის განცხადებით საკანონმდებლო ბაზა დახვეწილია თუმცა როცა საქმე ეხება სხვადასხვა ტექნოლოგიების და დანადგარების შეძენას წარმოებისთვის აქ შესაძლებელია უფრო მეტი შეღავათები დაწესდეს მაგ.

როდესაც მცირე ბიზნეს სურს სხვადასხვა დანადგარი შეიძინოს (მაგ სამკერვალო ავტომობილის პერიფერიული ნაწილების საწარმოებლად დ.ა.შ) უცხოეთიდან, მასში გადასახდელი თანხის თითქმის 1/3 მდე საბაჟო და სხვადასხვა გადასახადის გადახდაში ჭირდება ამიტომ ბიზნესები რომლებიც ორიენტირებული არიან სხვადასხვა პროდუქციის იმპორტზე ვერ ახერხებენ იმპორტის ნაცვლად შეიძინონ შესაბამისი მოწყობილობები და აქ აწარმოონ ბიზნესი.(სუსტი მხარე ფინანსური ხელმისაწვდომობა) თუმცა აღნიშნული საკანონმდებლო საკითხის გადაწყვეტა მუნიციპალიტეტის კომპეტენციას არ განეკუთნება მაგრამ მნიშვნელოვანია ალტერნატიული ხერხებით პრობლემის მოგვარება. როგორც არის წახალისება ბიზნესები სხვადასხვა პროგრამებით.

6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი

სამუშაო ძალის განვითარება მუნიციპალიტეტისთვის შედარებით ახალი კონცეფციაა. საგანმანათლებლო სისტემა არ პასუხობს ბიზნეს სექტორის რეალურ საჭიროებებს. IT სპეციალისტები, აგრონომი, ვეტერინარი, ტექნოლოგი, მარკეტინგის სპეციალისტი, ბუღალტრები, მომსახურების სფეროს წარმომადგენლები, ეს ის დარგები და პროფესიებია რომელზეც კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა დიდია. ინტენსიურათ ხდება კვალიფიციური კადრების გადინება მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, უფრო მეტად დედაქალაქსა და უცხოეთში რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ანაზღაურებით რაც დედაქალაქში კონკრეტულ პროფესიებზე 3- 4 ჯერ მაღალია, ასევე ცხოვრების დონით დედაქალაქი უფრო მიმზიდველია მათთვის საცხოვრებლად. ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში ახარებენ (სამტრედიისში არ არის უმაღლესი სასწავლებლები) ძირითადად თბილისში, მათი დიდი ნაწილი უკან არ ბრუნდება. წლების წინ რამდენიმე პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებდა რომელიც არამარტო მუნიციპალიტეტს არამედ რეგიონს ემსახურებოდა, მაგრამ ეხლა არ ფუნქციონირებს არადა მნიშვნელოვანია პროფესიული სასწავლებლების არსებობა. თუმცა მნიშვნელოვანია მთავრობის ინიციატივა რომლითაც 2021 წლისთვის ყველა რეგიონში გაიხსნება პროფესიული სასწავლებლები თავის მხრივ საპასუხოდ მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს ამ ინიციატივის განხორციელებას რაზეც უკვე შერჩეული აქვს ორი ყოფილი პროფესიული სასწავლებლის ტერიტორია. რომელიც მზადაა გადასცეს შესაბამის სუბიექტს პროფესიული სასწავლებლისთვის. დასაქმების მაძიებლები ძირითადად სხვადასხვა დასაქმების პორტალებზე (worknet.gov.ge, jobs.ge, hr.gov.ge, hr.ge) რეგისტრირდებიან აღნიშნულ საიტებზე ჯამში 1000- 1500 მდე ადამიანია დარეგისტრირებული ასეთი მცირე რაოდენობის გამომწვევი მიზეზია ის რომ ნაწილს დაუსაქმებელი მოქალაქეებისა უჭირს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება (საშუალო და მაღალი ასაკის მოქალაქეებს) საჭიროა ადამიანური რესურსის განვითარება როგორც ბიზნესის კუთხით (შესაბამისი ბიზნეს უნარჩვევები) ასევე პროფესიული კუთხით თითქმის ყველა სფეროში.

6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

სამტრედიის მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია ისევე როგორც რეგიონში ასევე ქვეყანაში როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ადგილმდებარეობა და მიწის რელიეფი ეკონომიკური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია არსებული ბიზნესის გაფართოებისა და ახალი ბიზნეს კომპანიების მოზიდვისთვის. თუმცა ინვესტორებისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტი პოტენციალი სათანადოდ არ არის ცნობადი, რადგანაც არ არსებობს კონკრეტული საინვესტიციო წინადადებები და შესაბამისი მარკეტინგული ინსტრუმენტები. ასევე გამოცდილება და ცოდნა ინვესტორებთან ურთიერთობის, ბიზნეს პროგრამებისა და პროექტების შედგენის, თუმცა რეგიონის ცნობადობის და გასაზრდელად იქმნება დესტინაციის ცენტრი რომელსაც მუნიციპალიტეტიც აპირებს შეურთედეს რაც ერთ ერთი პირველი აქტივობა იქნება ცნობადობის გასაზრდელად. ბოლო წლებში

